პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 23 ნოემბერი 1978 წ. № 273 (17317) ფასი 2 კაპ.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირი.
სურათზე: საბჭოთა კავშირის დელეგაცია.
სკკპ-ს-საქინფორმის ტელეფოტო.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი

22 ნოემბერს მოსკოვში მუშაობას შეუდგა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირი.

თათბირის მონაწილეებს მიესალმა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. მან თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გავხსნი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირი.

დღეს ჩვენი თათბირისადმი მსოფლიო საზოგადოებრიობის უდიდესი ყურადღებაა მოპყრობილი. პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტისაგან მოელიან ახალ ენერგიულ იმპულსს დაძაბულობის შენელების გაღრმავებაში, ევროპის ყველა ქვეყნის, და არა მარტო ევროპის ქვეყნების, თანამშრომლობის გაუმჯობესებაში. მაშ მოდით ყველაფერი ვიღონოთ ამ მოლოდინის გასამართლებლად.

თათბირში მონაწილეობენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხ. ტოდოროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტანიშევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის უფროსი მ. ბალევი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფონ ბრენტანო, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ბ. ბეიერლაინი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ბ. ბეიერლაინი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბელიუს

ავამაღლოთ კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობის დონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი

თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა თქვა:

ჩვენს პარტიას, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, უდაოდ წამყვანი მდგომარეობა უკავია საერთაშორისო სარბიელზე და საბჭოთა ხალხების უდიდესი, უცილობელი ნდობა და სიყვარული აქვს მოხვეჭილი. და ეს იმიტომ, რომ იგი თანამიმდევრულად და აქტიურად იბრძვის მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის.

წინსვლის მისწრაფება, მომავლიზე ზრუნვა მკაფიოდ ვლინდება სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ეკონომიკურ სტრატეგიაში, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარებას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან მჭიდრო ერთიანობით და ამის შესაბამისად წარმართავს მთელი ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საქმიანობას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ამაღლებას, სამშენებლო წარმოების შემდგომ გაუმჯობესებას. და ეს სავსებით ბუნებრივია. ამასთან ხომ მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგის, ყველა სფეროს განვითარებისა და ტექნიკური განახლების პროცესი.

ამიტომ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დღეიდაგე დიდად ზრუნავენ კაპიტალური დაბანდების განუხრელი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

როგორც გახსოვთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXV ყრილობაზე ნათქვამი იყო: „უნდა შევცვალოთ თვით მიდგომა კაპიტალური დაბანდების დაგეგმვისა და გამოყენებისადმი. უზრუნველყოთ მოქმედი წარმოებისა და ახალი მშენებლობის, როგორც ერთი მთლიანის, დაგეგმვა, კაპიტალური დაბანდება სამინისტროებსა და უწყებებს უნდა გამოვუყოთ არა საერთოდ, არა ახალი ობიექტებისათვის, არამედ პროდუქციის დაგეგმილი მატებისათვის...

ვაშენოთ სწრაფად, ეკონომიურად და თანამედროვე ტექნიკური საფუძველზე — ეი კაპიტალური მშენებლობის მაღალი ეფექტიანობის საფუძველი“.

ასე იდგა ამოცანა პარტიის XXV ყრილობაზე, სწორედ ეს გახდა კაპიტალური მშენებლობის საკითხებსა და პრობლემებზე ცენტრალური კომიტეტის ყველა მომდევნო გადაწყვეტილების ამოსავალი წერტილი, ყველა სამშენებლო ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი მიმართულება.

უკანასკნელ ხანს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როგორც ცნობილია, ბიოგრაფიის ქვეყანაში, შეხვდა ხალხს, პარტიულ, სამეურნეო აქტივს. და, უნდა ითქვას, არ ყოფილა არც ერთი შეხვედრა, არც ერთი გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობის დროს, ქალაქებში მინსკსა და ბაქოში გამართულ ზეიმებზე, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურს განსაკუთრებული, მთავარი ყურადღება რომ არ ეთმობა კაპიტალური მშენებლობის, საერთოდ კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ღონისძიებებისა და პრობლემებისათვის.

ხელმძღვანელობს რა ამ მოთხოვნებით, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მრავალმხრივ მუშაობას ეწევა კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე კაპიტალური მშენებლობა სრულიად სამართლიანად, უპირველეს პარტიულ საქმედ გამოცხადდა.

პარტიული ორგანიზაციები აქტიურად ჩაებნენ არსებულ სეზონულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში, რომლებიც ამით გამოიხატება, რომ ქრონიკულად ჩამორჩება სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულება, ირღვევა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების ამოქმედების დადგენილი ვადები, ვერ სრულდება საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პროგრამები და არის მთელი რიგი სხვა ხარვეზები.

უფრო მიზანსწრაფულად მუშაობს კაპიტალური მშენებლობის პრობლემებზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. კარგი გამოდგა ყოველი წლის შუა თვეებში ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე მომავალი წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმების განხილვის პრაქტიკა.

განხორციელდა სამშენებლო ქვეგანაყოფების სტრუქტურისა და სამშენებლო საქმის ორგანიზაციის სრულყოფის მთელი რიგი ღონისძიებანი. რესპუბლიკაში უკვე ხუთი წელია მუშაობს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში ერთიანი შემკვეთის სამსახური — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო. შემკვეთის ცენტრალიზებული სამსახური შეიქმნა აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების, სოფლად სამშენებლო ინდუსტრიის თანამედროვე ბაზის შექმნის მიზნით რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში შეივდა გაერთიანება „სოფლამშენი“, რომელსაც შეუნარჩუნდა საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ფორმები. ერთობლივმა მუშაობამ უკვე მოიტანა გარკვეული დადებითი შედეგები.

1976 წლიდან მოყოლებული, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყოველწლიურად ამტკიცებს უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა ნუსხას. რომლებსაც ხმარდება ძირითადად საჭირო ძალები და სახსრები. ამ მშენებლობებზე მიმაგრებული არიან ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესებისათვის მუშაობაში ებმება ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილება, რომლებიც აერთიანებენ და წარმართავენ შემკვეთების, დამპროექტებლებისა და მშენებლების ღონისძიებებს.

დღეს შეგვიძლია ამაყოფილებით აღვნიშნოთ, თქვა შემდეგ ამხ. კოლბინმა, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა აქტიური საქმიანობა გაშალეს კაპიტალური მშენებლობის სრულყოფისათვის, სულ უფრო მეტად ვრცელდება მსხვილი ობიექტების მშენებლობაზე პარტიული შტაბების შექმნის პრაქტიკა. მათი მუშაობის არსი ის არის, რომ შეათანხმონ მშენებელთა, მემონტაჟეთა, შემკვეთთა, სხვადასხვა უწყების მოქმედება მთავარი ამოცანის გადაწყვეტის — ობიექტების და სიმძლავრეების რაც შეიძლება სწრაფი ამოქმედების მიზნით.

კარგი სახელი მოიხვეჭა, მაგალითად, ენერჯისის მშენებლობის შტაბმა, რომელსაც სათავეში უდგას პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ცენტრალური კომიტეტის პარტორგი მშენებლობაზე ამხ. კ. ჯანჯღავა.

სამშენებლო და სამონტაჟო ქვეგანაყოფების პირველადი პარტიული ორგანიზაციები მეათე ხუთწლედის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ და მოღონიერდნენ. ამ სფეროში ჩვენთან ახლა შრომობს 18.250 კომუნისტი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 686 პირველადს და 526 საამქრო ორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებში.

ბევრი მათგანის მუშაობა დიდი შედეგიანობით გამოირჩევა. ასეთებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის, „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის და სხვათა პარტიული ორგანიზაციები. ისინი უნარიანად ეწევიან კომუნისტებს, აკითარებენ მასების ინიციატივას, კარგად ეყენებენ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის საწესდებო უფლებას. მათი მუშაობის პრაქტიკაში ჩნდება ისეთი ახალი ფორმები, როგორიც არის ერთ სამშენებლო მოედანზე დასაქმებულ სხვადასხვა სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოთა პარტიული ჯგუფების კომუნისტების გაერთიანებული კრებების მოწყობა, საერთო სოციალისტური ვალდებულებების მიღება დ. სხვ.

მშენებლობის წინაშე მდგომი ყველა ამოცანის გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული ადამიანებზე, კადრებზე, მათს უნარიან შერჩევაზე, განაწილებასა და აღზრდაზე. ამიტომ მშენებლობაში ჩვენი განსაკუთრებული, მუდმივი ზრუნვის საგანი სწორედ ეს პრობლემებია.

რესპუბლიკაში მოქმედებს 24 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომლებმაც 1975-1978 წლებში მშენებლობებზე 14 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა გაგზავნეს. ბევრი მათგანი წარმატებით დაეუფლა მშენებლის პროფესიას. ჩვენს დროში მან ახალი შინაარსი შეიძინა. ახლა მშენებელი ფართო ჰორიზონტის მქონე, საფუძვლიან სპეციალურ ცოდნას დაუფლებული ადამიანია, რადგან თვით სამშენებლო მოედანიც სულ უფრო მეტად ხდება სამონტაჟო მოედანი, სადაც მრავალმხრივი გამოცდილებაა საჭირო.

პატიოსნად, მაღალი პროფესიული კეთილსინდისიერებით შრომობენ რესპუბლიკის მშენებლებზე და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში ბრიგადები, რომლებსაც მეთაურობენ ამხანაგები ვ. გალდავა, ტ. ქართველიშვილი, ა. ინასარიძე, რ. კუცია, კ. ლუბავსკი, დ. ბაღდავაძე, ო. ბლიაძე, ა. ოვაკიმიანი, ვ. მანდულაშვილი, გ. არეშიძე, ა. სმირნოვი, გ. ახობაძე, რ. თედეევი, ს. თურქიშვილი, გ. მოისეევი, ვ. ქელიძე და სხვა მოწინავენი, რომლებთაც სამართლიანად ამაყობს რესპუბლიკის მშენებელთა მრავალათასიანი არმია.

მშენებლობის ბევრი უბანი განმტკიცებულია გამოცდილი, საქმის კარგი მცოდნე მუშაკებით, გაძლიერდა მათდამი მომთხოვნელობა, ამაღლდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა. წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს და აქტიურად ნერგავენ წარმოებაში ყოველივე ახალსა და მოწინავეს მსხვილი სამშენებლო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები — ამხანაგები, კ. გოგიჩაიშვილი, ვ. ჯურაძე, ა. ახულაძე, გ. გაბისონია, მ. ცისკარიშვილი, რ. ბეჟუაშვილი, ნ. გუნცაძე, ი. არობელიძე, ვ. გოგოლაძე, გაანუწყვეტლივ სრულყოფენ თავიანთ საქმიანობას ამხანაგები ა. გლურჯიძე, დ. დგებუაძე და სხვები.

მაგალითისათვის გესაუბრებით ერთ მათგანზე — რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ლენინის ორდენოსანი № 1 ტრესტის მმართველ კ. გოგიჩაიშვილზე. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გზა. დასახელია უახლოესი წლების პირველი რიგის ამოცანები — ქალაქ გაგრის შემოსაელელი გზის მშენებლობა, ხაშურ-ზესტაფონის, ბათუმ-ახალციხის ავტოგზების რეკონსტრუქციის დამთავრება. ბეკრი გზის მშენებლობის დაჩქარება მთის რაიონებში.

ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ და განვსაზღვრეთ საქართველოში ელექტროენერგეტიკის განვითარების პერსპექტივა, შევიმუშავეთ კონკრეტული ეტაპები. შენდება თავისი ინკინრული შთანაფიქრითა და შესრულებით უნიკალური ჰიდროელექტროსადგური მდინარე ენგურზე, რომლის პირველი აგრეგატი ამ ცოტა ხნის წინათ ამოქმედდა, ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის კასკადი და ფინელის ჰიდროტექნიკური კომპლექსი.

გამოიყო სახსრები და დაიწყო მდინარე ენგურზე ხეფრნის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები, 1980 წელს კი დასახულია დაიწყოს ნამახვნის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე რიონზე, ეს შეგვინარჩუნებს და განთავისუფლებს ქვალთაზე გამოგვაყენებინებს ჰიდრომშენებელთა გამოცდილ კოლექტივებს.

უთუოდ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. მიუხედავად ამისა, ხაზი გაუსვა შემდეგ ამხ. კოლბინმა, მიზანშეწონილად მიგვანია კაპიტალური მშენებლობის საქმის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები გამოვიტანოთ ამ პლენუმის განსახილველად, იმიტომ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგიდან ყველაზე დიდ უკმაყოფილებას მშენებლობის სფეროში საქმიანობის შედეგები იწვევს.

მართლაც, ჩვენ ჯერჯერობით ვასრულებთ კაპიტალური მშენებლობის მხოლოდ ზოგიერთ მაჩვენებელს, ბევრი კი ქრონიკულად ვერ სრულდება. და ეს უკვე ჩვეულებრივ საქმედ იქცა.

ყოველწლიურად აუთვისებელი რჩება რესპუბლიკისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდება. ხუთწლედის დამდეგიდან მთლიანად ვერ ავითვისეთ 193 მილიონი მანეთი.

ვერასდეს ვერ ითვისებენ კაპიტალურ დაბანდებას სამინისტროები: სოფლის მეურნეობისა (მინისტრის მოადგილე — ამხ. ტ. ჩიკვაიძე), მსუბუქი, მრეწველობისა (მინისტრის მოადგილე — ამხ. ა. აფაქიძე), საავტომობილო ტრანსპორტისა (მინისტრის მოადგილე — ამხ. ნ. ბელიქიშვილი), გეოლოგიის სამმართველო (უფროსის მოადგილე — ამხ. გ. ბააკაშვილი), „საქმთაველნაკთობმომარაგებაგასაღება“ (უფროსის მოადგილე — ამხ. შ. კობახიძე), მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო (უფროსი—ამხ. ბ. ზატუაშვილი). მარტო ამ ორგანიზაციებში მიმდინარე ხუთწლედის ორი წლისა და ათი თვის მანძილზე აუთვისებელი დარჩა 134 მილიონი მანეთი.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, მრავალი წელია აუთვისებელი რჩება კაპიტალური დაბანდება საბინაო მშენებლობაში. ვერ სრულდება ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა. მარტო შარშან არ ამოქმედებულა 130 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ძირითადი ფონდები. ძირითადი ფონდების ამოქმედების მდგომარეობა მიმდინარე წელსაც ვერ უმჯობესდება. ცხრა თვეში ამოქმედდა წლიური გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ფონდების მხოლოდ 29 პროცენტი.

სერიოზული ნაკლოვანებანია სამშენებლო ინდუსტრიის მშენებლობებისა და საწარმოების ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში. იკლო შემკვეთთა როლმა კაპიტალური მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლების შესრულებაში.

დიდი შეფერხებანია მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში. ეს იმის შედეგად ხდება, რომ ცუდია ფონდების რეალიზაცია, რომლებსაც საკავშირო ორგანოები გამოყოფენ, უაღრესად არადამაკმაყოფილებელია ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების მდგომარეობა და განვითარება, დაბალია მშენებლობის სფეროს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების დონე, დიდი ხარვეზებია საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობაში.

სამშენებლო ორგანიზაციებში განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემაა მათი ფინანსური უზრუნველყოფა და ამასთან მჭიდროდ დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიც არის მასალებისა და მოწყობილობის შეძენა, ხელფასის დროზე გაცემა, შრომისა და ყოფა-ცხოვრების საჭირო პირობების შექმნა.

ეს და ზოგიერთი სხვა პრობლემა მოითხოვს განისაზღვროს გადაწყვეტის ეფექტიანი გზები, მიზანსწრაფული მუშაობა გასწიონ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, საქართველოს მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ, რათა მეათე ხუთწლედში შესრულდეს კაპიტალური მშენებლობის პროგრამები, მომდევნო წლებში სამუშაოდ იყვნენ მომზადებული მშენებლები.

ამხ. კოლბინმა აღნიშნა, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შეუსრულებელი მოცულობა რესპუბლიკის 11 ძირითადი მოიჯარე სამინისტროდან და ორგანიზაციიდან უმთავრესად მოდის მშენებლობის სამინისტროზე და „საქსოფლელექტრომშენის“ ტრესტზე, რომლებიც ყოველწლიურად ვერ ასრულებენ დადგენილ დავალებებს.

მოიჯარე ორგანიზაციათა შორის ჯერჯერობით არ წარმოებს ბრძოლა ჩამორჩენილი პირველადი ქვეგანაყოფების რიცხვის შემცირებისათვის.

ამხ. კოლბინის მოხსენებაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხებმა. საყოველთაოდ ცნობილია, თქვა მან, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა განუყოფელია, ისინი მჭიდრო ერთიანობით არსებობენ და მოქმედებენ. ფორმულამ — პარტიული საქმიანობით „არ შევცვალოთ“ სამეურნეო მუშაობა — შეიძლება უმოქმედობა და უპასუხისმგებლობაც კი წარმოშვას, თუ ამ ფორმულას სწორად არ გამოვიყენებთ. პარტიული კომიტეტი, პარტიული ჯგუფი, პარტიული მუშაკი დღეიდაგ უნდა გრძნობდეს ცხოვრების მოძღვრებას, განზე არ უნდა გადგეს, როცა საქმე კარგად არ მიდის საწარმოში ან მშენებლობაზე, ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში.

არ უნდა გვეშინოდეს ეარეთწოდებული სამეურნეო საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღებისა. აქ მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენი საკითხი იყო განხილული, არამედ სულ სხვა რამ: როცა სამეურნეო საქმეებს, მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემებს განიხილავს, პარტიულ ორგანოს მათდამი უნდა ჰქონდეს მკაფიო მიდგომა — არა ვიწროსამეურნეო, არამედ პარტიულ-პოლიტიკური.

გარკვეულ შეშფოთებას იწვევს მშენებლობის სამინისტროს (მინისტრი — ამხ. ნ. მემმარიაშვილი) ხელმძღვანელთა მუშაობის სტილში უარყოფითი ტენდენცია, რომელიც უკანასკნელ ხანს შეინიშნება. ბევრი მათგანი მშენებლობებსა და ქვეგანაყოფებს კონკრეტულ დავალებას არ უწევს მთელი რიგი წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში, სჯერდება მხოლოდ მრავალი სადისპეტჩერო და ოპერატიული თათბირის გამართვასა! ამ თათბირებზე მიღებული გადაწყვეტილებანი ხშირად არ ხორციელდება და ქაღალდზე რჩება, ზოგჯერ საკითხების გადაწყვეტისათვის ცალკეულ რეგიონებში ერთდროულად მინისტრის რამდენიმე მოადგილე მიდის. თვით მინისტრს ჯერ კიდევ არ შეუქმნია კოლეგიტი, მის მუშაობაში მონოლითურობის ატმოსფერო ხშირად ნეიტრალური ბრძოლა ინიციატივა უკავია. აქ, ჩვეულებრივ, ერთის ხარვეზები და შეცდომები სხვებს არ აწუხებს.

რამდენადმე თმობს პოზიციებს ერთ-ერთი წამყვანი საიჯარო ორგანიზაცია ამერიკაკავასის „ტრანსმშენის“ ტრესტი (მმართველი — ამხ. ა. საგანელიძე), რომელსაც კარგი შრომითი ტრადიციები ჰქონდა. შარშანდელთან შედარებით 6 პროცენტით შემცირდა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა.

ბევრი მწვავე საუბარი გვქონია საბინაო მშენებლობის საკითხებზე. მაგრამ ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ საცხოვრებელი სახლების რიტმულ ჩაბარებას, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის იერიშობანა წლის დამლევს. თუმცა საცხოვრებელი სახლების ხარისხის მხრივ შევძელით მიგვეღწია გარდატეხისათვის ერთგვარი გაუმჯობესებისაკენ, მაგრამ კვლავინდებურად დაბალია სანტექნიკური კაბინების, ლიფლეუმის იატაკების, სადურგლო და რკინაკაკეულის ნაწარმის ხარისხი.

მშენებლობის სამინისტროს სისტემაში „ფასადმშენის“ სამშენებლო სამმართველოს შექმნასთან ერთად შესაძლებლობა გვქონდა მოვაწესრიგოთ ბევრი საცხოვრებელი სახლის ფასადი კაპიტალური რემონტის ხარჯზე. ინიციატივა ამ საქმეში მთლიანად ეკუთვნით თბილისს, ბათუმს, სოხუმს, ქუთაისს, რუსთავს საქალაქო საბჭოებს. სამწუხაროდ, ეს მუშაობა ჯერჯერობით სათანადოდ არ განვითარებულა.

საბინაო მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში ერთნაირად როდი მონაწილეობს ყველა სამშენებლო ორგანიზაცია, სახსრებს ვერ ითვისებენ და საცხოვრებელი სახლების ამოქმედების გეგმებს ფუშავენ მშენებლობის სამინისტროს №№ 6, 15, 16 ტრესტები, სათანადო უკუგებით ვერ მუშაობენ რუსთავის, გორის, ლენინოს და ბათუმის სახლთაშენებელი კომბინატებიც!

ჯერ კიდევ არ დანერგილა ორიოლელთა უწყვეტი მუშაობის მეთოდი, რის შედეგად წლითიწლობით იცვლება მარავნამეტი. ეროლად არ ამზადებენ პროექტებს, განაშენიანების მოედნებს, გარე კომუნიკაციებს, მისასვლელ გზებს. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ძირფესვიანად არ შეუცვლიათ თავიანთი დამოკიდებულება კაპიტალური მშენებლობისადმი.

რესპუბლიკაში აღრიცხვაზეა აყვანილი ათიათასობით ადამიანი, რომლებსაც ძალიან სჭირდებათ საცხოვრებელი ფართობი, ჩვენ ჯერჯერობით ვერ უზრუნველყავით კეთილმოწყობილი ბინებით სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახები, ავადმყოფები, სარდაფებსა და ბარაკებში მცხოვრებნი.

ამხანაგო ნ. ა. მემმარიაშვილო და ამხანაგო ი. ა. ხარატიშვილო! თქვენ მინისტრები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ხართ, ხალხმა დეპუტატებად აგირჩიათ, გენდობიან. ამისათვის მათი მადლიერი უნდა იყოთ და მთლიანად შეასრულოთ თქვენი პარტიული და სახელმწიფო მოვალეობა მათ წინაშე. ამომრჩეველთა წინაშე ნაკისრ ამ ვალდებულებებს თქვენ ბოლომდე ვერ ასრულებთ.

შემდეგ ამხ. კოლბინმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა სახალხო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, სოციალური დანიშნულების სხვა შენობათა აკების ტემპის გაძლიერება, შემკვეთთა, დამპროექტებელთა საქმიანობის გაუმჯობესება, მათი შეთანხმებული მუშაობა სამშენებლო ორგანიზაციებთან.

რესპუბლიკის სახმშენი უნდა განსაზღვრავდეს ერთიან პოლიტიკას მშენებლობაში, მას ეკისრება მთავარი როლი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესებაში, საპროექტო და სიმეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურებასა და კოორდინაციაში. მაგრამ, სახმშენი თავის ფუნქციებს ჯერ კიდევ სუსტად ასრულებს. პრეციკული შეფასება არ იძლევიათ სარიოზულ ხარვეზებს და შეცდომებს, დაპროექტების ნორმების, ოდდგენილი სტანდარტების უხეში დარღვევის ფაქტებს.

მეათე ხუთწლედისათვის რესპუბლიკური ვალდებულებების შესაბამისად, თქვა ამხ. კოლბინმა, რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებმა უნდა შეამცირონ 200-250 მილიონი მანეთის დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესასრულონ 1980 წლის 15 დეკემბრისათვის.

ხუთწლედის დამდეგიდან მუშაობის შედეგებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებით დასახულ მიჯნებს. და, ცხადია, ეს მოითხოვს მშენებლობაში საქმის მდგომარეობაზე და უწინარეს ყოვლისა ყველა საინჟინრო ორგანიზაციის, აგრეთვე შემკვეთის სამსახურების საქმიანობის გაუმჯობესებაზე პარტიული გავლენის გაძლიერებას.

როცა პარტიული გავლენის გაძლიერებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს, რომ საქმე ეხება თაეიანთი მოვალეობების შესრულებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, და ეს სწორია. მაგრამ ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ძალიან ხშირად მომთხოვნელობას ეიჩენთ და სასჯელი მკაცრი დასკვნებით გამოგვაქვს ისეთი ჩაეარდნებისათვის, რომლითა გამოსწორება აღარ შეიძლება და რომლებიც ხანგრძლივი უპასუხისმგებლობის ნაყოფია.

მაგალითად, პარტიული კომიტეტი პასუხს სთხოვს ხელმძღვანელ კომუნისტს ობიექტის ამოქმედების ჩაშლისათვის. მაგრამ ეს სასჯელი დადებით ზემოქმედებას გიღარ ახდენს, რადგან ობიექტის ამოქმედების ვადები უკვე დარღვეულია. პარტიული ზემოქმედების ღონისძიება გავლენს მაშინ მოახდენდა, თუ მას დროულად გამოვიყენებდით უმუალო დანაშაულის მიმართ.

უნდა ვიფიქროთ იმაზეც, თუ როგორ გამოვიყენოთ უფრო ეფექტიანად თითოეული ხელმძღვანელის დრო, რას დაუთმოს მან მეტი უურადღება, რა საკითხებზე უნდა აიღოს ხელი, ეფორო შეიტგიანად უნდა წარმართოთო კადრების რეზერვის მომზადებისათვის მუშაობა. რამდენჯერ შეეშლებარვართ კადრების საკითხში. კადრების შერჩევისა და განაწილების პარტიული პრინციპები მოითხოვს ადამიანთა პრაქტიკული საქმეებით შემოწმებას. მაგრამ ჩვენ ზოგჯერ უბრალოდ ყოფთ მათ. ჩვენში ჯერ კიდევ რამდენია ისეთი კადრი, რომლებიც ინტუიციით დავაწინაურეთ, ინტუიციამ კი გვიმტყუნა. ამავე დროს კი ღირსეული, ნიჭიერი ორგანიზატორები ზოგჯერ შეუმჩნეველი გვრჩება. ეს არის მანკიერი მეთოდები პარტიული მუშაობის პრაქტიკაში. ექსპერიმენტები კადრებთან დაკავშირებით არ შეიძლება. მოუმზადებელი ადამიანის დაწინაურება, შემდეგ კი მისი განთავისუფლება ხომ ტრავმას აყენებს მას, ვაი თანამოსაქმე ამხანაგებს, ოჯახის წევრებს. ადამიანი კარგავს საკუთარი თავის, თავისი პერსპექტიეის რწმენას. მაგრამ ამავე დროს ვერ შეეფრიგდებით ხელმძღვანელობაში უუნარო ადამიანებს, რომლებმაც საქმე ჩაშალეს.

ახლა, როცა ლაპარაკია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროსადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის შემდგომ ამაღლებაზე, პირველადი ორგანიზაციების, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების მდივნები გულდასმით უნდა მოეკიდონ თვითანალიზსაც: როგორ გარდაქმნან. გააუმჯობესონ პარტიული მუშაობა მისი ისეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, როგორიც არის კადრების დაწინაურება და განაწილება, პარტიული და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, მისი შედეგიანობის ამაღლება. ჩვენ უფრო მეტად უნდა ვეყრდნობოდეთ კომუნისტებს, პარტიულ ორგანიზატორებს.

ჩვენში ზოგჯერ ჯეროვნად არ ფასდება კადრებთან მუშაობის ისეთი ნაკლული ფორმა, როგორიც არის ჩამორჩენილ უბნებზე კარგი კომუნისტის — მოწინავის გაგზავნა.

ამხ. კოლბინი დაწვრილებით შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიც არის ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების შემდგომი განვითარება, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელი და შეთანხმებული მუშაობის უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განკუთვნილ კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენება.

საგეგმო დისციპლინის დაცვის საჭიროების შესახებ რომ ილაპარაკა, ამხ. კოლბინმა თქვა, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სამინისტროები და უწყებები კაპიტალურ დაბანდებებს ხშირად ისე გეგმავენ, რომ შესაბამისად არ ასაბუთებენ, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ასამშენებელ ობიექტებზე ძალებისა და სახსრების მაქსიმალურ კონცენტრაციას, უკვე დაწყებულ მშენებლობათა სწრაფ დამთავრებას.

მაგალითად, შარშან სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს კანტორის მიერ დაფინანსებული 58 მშენებლობის დამთავრების ვადები კვლავ გადატანეს შემდგომი წლებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა შეუსრულებლობის გამო. ამავე დროს დაიგეგმა 280 ახალი ობიექტის მშენებლობის დაწყება. ასეთი პრაქტიკა მიმდინარე წელსაც გრძელდება.

ჩვენს რესპუბლიკაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მშენებლობის აღჭურვა ახალი, თანამედროვე მანქანა-მოწყობილობით, მაგრამ მათ ცუდად იყენებენ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ დაბალია შრომის ორგანიზაციის დონე. მათი მოცდენა 39 პროცენტს აღწევს. მექანიზმები მხოლოდ სანახევროდ ასრულებენ გამომუშავების წლიურ ნორმებს. ეს ხშირად მანქანების მოუმაობის ცვლითობის დაბალი კოეფიციენტის ბრალია.

ადამიანებისა და მექანიზმების სისტემატური მოცდენა ოსტატებსა და სამუშაოთა მწარმოებლებს იძულებულს ხდის დაფარონ იგი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის წამატებით, რათა უხელფასოდ არ დარჩეთ მშენებლები და შეინარჩუნონ ისინი მშენებლობაზე, თუნდაც უპატიოსნო გზით.

1976 წელს გამოვლინდა 3 მილიონი მანეთის წამატებანი, ხოლო 1977 წელს — 1,8 მილიონი მანეთისა. ამასთან დადგინდა, რომ ხელფასის ფონდის მთელი გადახარჯის 55 პროცენტი წამატებებთან არის დაკავშირებული.

არ იგრძნობა აგრეთვე ჯეროვანი მზრუნველობა ადამიანებისათვის. ამიტომაც მშენებლობაში ხელის შრომით დასაქმებული მუშების რიცხვი 55-60 პროცენტს შეადგენს. ხელით მუშაობს მებეტონეთა 66 პროცენტი, მებათქაშეთა და ხუროთა 83 პროცენტი, მღებავთა და პარკეტის დამგებთა 75 პროცენტი. ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ სისტემატურად ვერ სრულდება შრომის ნაყოფიერების გეგმები სამშენებლო ორგანიზაციებში. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა ქვეყნის მშენებლობებზე შეადგინა 167 პროცენტი 1965 წლთან შედარებით, ჩვენში კი 154 პროცენტი, ანუ 13 პროცენტით ნაკლები.

უწყებებისა და სამინისტროების ხელმძღვანელები საკმარისად არ მუშაობენ მუდმივი კადრებია შენარჩუნების, მათი დენადობის შემცირების საკითხებზე.

ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა ახალგაზრდა სპეციალისტებთან, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებთან მუშაობა. მმართველთა მოადგილეები კადრებისა და ყოფაცხოვრების დარგში საკმარის ყურადღებას არ უთმობენ თავიანთ ძირითად მუშაობას. გადაყოლილი არიან წარმ

ავამაღლოთ კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობის დონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლასასრულს

პლენუმის დადგენილების პროექტით, აგრეთვე შემოთავაზებული ღონისძიებებით გათვალისწინებულია სამშენებლო წარმოების განვითარების ღონისძიებანი 1985 წლამდე პერსპექტივისათვის. მხედველობაში გვაქვს განხორციელდეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების, ინერტული და საკედლე მასალების, ასაწყობი რკინა-ბეტონის, კერამიკული ფილების წარმოების ზრდის, ძირითადი ფონდების, კერძოდ, მანქანა-მექანიზმების უფრო სრული გამოყენების ღონისძიებათა კომპლექსი.

დასასრულ ამხ. კოლბინმა გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, დამპროექტებლები, მშენებლების, მემონტაჟეების, გზის მშენებლების, საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა დიდი რაზმი ყველაფერს იღონებენ, ცოდნას და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა მშენებლობა წარმართონ მისი შემდგომი განვითარების მაგისტრალური გზით და ღირსეულ წელილს შეიტანენ ჩვენი პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ამხ. გ. ვ. კოლბინის მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის სალოკო კომიტეტის პირველ მდივანს **ბ. ვ. ადლეიბას,** რომელიც შეეხო მშენებელთა წელილს ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობათა გადიდებაში, საკურორტო ზონისა და საცხოვრებელი ფონდის ზრდაში, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების დონის ამაღლებაში, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში. მიმდინარე წლის დამდეგიდან ამოქმედდა დიდმნშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტები, დაჩქარდა საბინაო შენებლობის ტემპი.

მაგრამ მშენებლობა, თქვა შეჩერებ ორატორმა, აფხაზეთის ალრ სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. გვაფფოთებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე მშენებლობის სამინისტროს საალკო ორგანიზაციის სამუშაოთა ტემპის შემცირების ტენდენცია. ორგანიზაციის მთელ შესაძლებლობებს ვერ იყენებენ „საქმიდროენერგომშენისა“ და „ყოლხომშენის“ ტრესტების ორგანიზაციები, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის ქვეგანაყოფების მუშაობა. ამასთან უფრო სტაბილურად იწყო მუშაობა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტმა, თუმცა მის საქმიანობაშიც არის ხარვეზები. საკმარისი სიბეჯითით და თანმიდევრობით ვერ ასრულებენ პარტიული კომიტეტები, მათ ორის სალოკო კომიტეტიც, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის სალოკო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც განიხილა ავტონომიურ რესპუბლიკაში მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლების, სამშენებლო წარმოების ყველა რგოლისადმი ხელმძღვანელობაში პარტიული ორგანოების როლის გაძლიერების ღონისძიებანი. ამჟამად დასახულია და ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შექმნილი მდგომარეობის გადაჭრით გამოსწორება.

შემდეგ ამხ. ადლეიბამ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველნაირ მხარდაჭერაზე, რომელსაც დღეიდან გრძნობენ აფხაზეთის მშრომელები. ეს დიდად დაინტერესებული დამოკიდებულება ჩვენი საქმეებისადმი, თქვა ორატორმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ძვირფასია ჩვენთვის სწორედ ახლა, როცა ვიწყებთ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ საკავშირო ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით საოლქო პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახული დიდი ამოცანების გადაწყვეტას. ამას წინათ გამართულ პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე დავსახეთ ამ ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული გზები და საშუალებები, შევიმუშავეთ მშრომელთა ისეთი განწყობილების, ავტონომიური რესპუბლიკის აყვავებისათვის პარტიის პოლიტიკის ისეთი გაგების უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლიც ხელს შეგვიწყობს წარმატებით შეასრულოთ ხუთწლიანი დავალებაც და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განვითარების დამატებითი პროგრამაც.

„თბილისგვირაბმშენის“ გვირაბგამავანთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **კ. ჭ. ლიუბავსკი** პლენუმის მონაწილეებს ესაუბრა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს თბილისის მეტროპოლიტენის ახალი ხაზის „ვაგზალ-დელისის“ მშენებლობის სამუშაოები, შეეხო იმ მუდმივ ყურადღებას, რომელსაც ამ დიდმნიშვნელოვანი მშენებლობაზე და მისი ადამიანებისადმი იჩენენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ამავე დროს ორატორმა თავისი კოლექტივის სახელით გამოთქვა პრეტენზიები ზოგიერთი ეწყობისა და სუბმოიჯარე ორგანიზაციის მიმართ, რომლებიც ფფერხებენ მეტროს მშენებლობის გეგმის შესრულების ტემპს.

ამხ. ლიუბავსკიმ აგრეთვე თქვა, რომ „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივი მთელ რიგ სხვა ობიექტებსაც აშენებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის. გვირაბმშენებლები აგებენ რიკოთის უღელტეხილზე საავტომობილო გზასა და როკის უღელტეხილის საავტომობილო გვირაბს. ვადამდე, მიმდინარე წლის 22 სექტემბერს გაიხსნა საავტომობილო გზა თუშეთის ცენტრამდე — ომალომდე.

დასასრულ ამხ. ლიუბავსკიმ აღუთქვა, რომ „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ პასუხსაგებ დავალებას — დადგენილ ვადაში საქსპლოატაციოდ გადასცემს მეტროპოლიტენის ახალ ხაზს საბურთალოს მიმართულებით.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ნ. ა. ჭითანავა.** მან თქვა: პარტიის აგრარული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების კვალობაზე სისტემატურად იზრდება კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობაში, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა. ახლანდელი ხუთწლედის სამი წლის მანძილზე მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებანი გაიზარდა 27 პროცენტით, არსებითად შეიცვალა თვით კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურაც, მათში კანონზომიერად ისახა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიმდინარე პროცესი, დარგის ინდუსტრიალიზაცია.

1970-1977 წლებში კაპიტალურ დაბანდებათა 40 პროცენტი მოხმარდა მეცხოველეობის განვითარებას; სწრაფი ტემპით შენდება საწარმოო დანიშნულების ობიექტები. აშენდა და შენდება ისეთი ობიექტები, რომელთა პარამეტრებსა და ტექნოლოგიიზე ახლო წარსულში ვერც კი ვიოცნებებდით. სამინისტროს სისტემაში ყოველწლიურად იზრდება სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პიონერული ბანაკების შენებლობის ტემპი, მაგალითად, თუ 1970-1974 წლებში ამ მიზნით ყოველწლიურად საშუალოდ იხარჯებოდა 1,5 მილიონი მანეთი, ამჟამად გამოიყოფა დაახლოებით ხუთი მილიონი მანეთი.

შემდეგ ამხ. ჭითანავამ აღნიშნა, რომ სოფლად მშენებლობას შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს ისეთი საშენი მასალების უკმარობა, როგორიც არის კირი, გაური, კრამიტი და სხვ. ამ საქმეში ერთიანი პოლიტიკა ჯერჯერობით არა გვაქვს. საჭიროა გავფფართოოთ საშენ მასალათა წარმოება, და ამ საქმეში მთავარი მიმართულება უნდა გახდეს არსებული საწარმოების გაფართოება და ახალი საწარმოების მშენებლობა სამეურნეოთაშორისო საწყისებზე. ამაში უწინარეს ყოვლისა დაინტერესება უნდა გამოიჩინონ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და „საქკოლმშენმა“. ამხ. ჭითანავამ სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა „საქკოლმშენის“ საქმიანობის გამო, რომელმაც უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე მხოლოდ ორჯერ შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები, სისტემატურად ფუშავს სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ჩაბარების გეგმებს, პასიურ როლს ასრულებს მეპაიე კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებაში.

სოფლად მშენებლობის საკითხები ყოველთვის არ წყდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების კომპლექსით. განსაკუთრებით აქტუალურია სოფლების განაშენიანების პრობლემა. დღეს საბინაო მშენებლობა სტიქიურად წარმოდგება. სოფლების განაშენიანების ცალკეული პროექტების შემუშავება ჯერჯერობით არ იძლევა სასურველ შედეგებს.

ქართული საბჭოთა სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონე, მის ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებანი გვიკარნახებს, რომ არსებითი შესწორებანი შეიტანოთ სამშენებლო პრაქტიკაში. ჩვენს სოფლებში აშკარათად შეხვედით კარგად აგებულ შენობებს, ბევრი მათგანი არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს, ეროვნული ტრადიციების მოთხოვნებს.

ჩვენ გვესმის მშენებელთა წინაშე დასმული ამოცანების სირთულე, თქვა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ვ. კობაიძემ,** ამიტომ პარტიის რაიონული კომიტეტი და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი მათ სისტემატურად, ყოველდღიურად ეხმარებიან, მუდმივ კონტროლს უწევენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარეობას.

ყოველი ოთხშაბათი რაიონში მშენებლობის დღედ არის გამოცხადებული. ამ დღეს ეწყობა მშენებარე ობიექტებზე საქმის მდგომარეობის დათვალიერება, სამუშაოთა ხარისხის შემოწმება, შეხვედრები და საუბრები მშენებლებთან ადგილებზე. კვირის მანძილზე გაკეთებულის შედეგებს აჯამებს პარტიის რაიკომთან შექმნილი მშენებლობის ხელშემწყობი შტაბი.

ამავე დროს, თუ გავაანალიზებთ მუნ შტაბის საქმიანობას, მთელ ჩვენს მუშაობას რაიონში კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობასთან ერთად ეფექტიანი ბალანსი ვერ ავაგეთ. ჩვენს სოფლებში აშკარათად შეხვედით კარგად აგებულ შენობებს, ბევრი მათგანი არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს, ეროვნული ტრადიციების მოთხოვნებს.

ჩვენ გვესმის მშენებელთა წინაშე დასმული ამოცანების სირთულე, თქვა საქართველოს კომპარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ვ. კობაიძემ,** ამიტომ პარტიის რაიონული კომიტეტი და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი მათ სისტემატურად, ყოველდღიურად ეხმარებიან, მუდმივ კონტროლს უწევენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარეობას.

ყოველი ოთხშაბათი რაიონში მშენებლობის დღედ არის გამოცხადებული. ამ დღეს ეწყობა მშენებარე ობიექტებზე საქმის მდგომარეობის დათვალიერება, სამუშაოთა ხარისხის შემოწმება, შეხვედრები და საუბრები მშენებლებთან ადგილებზე. კვირის მანძილზე გაკეთებულის შედეგებს აჯამებს პარტიის რაიკომთან შექმნილი მშენებლობის ხელშემწყობი შტაბი.

ამავე დროს, თუ გავაანალიზებთ მუნ შტაბის საქმიანობას, მთელ ჩვენს მუშაობას რაიონში კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობასთან ერთად ეფექტიანი ბალანსი ვერ ავაგეთ. ჩვენს სოფლებში აშკარათად შეხვედით კარგად აგებულ შენობებს, ბევრი მათგანი არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს, ეროვნული ტრადიციების მოთხოვნებს.

ჩვენ გვესმის მშენებელთა წინაშე დასმული ამოცანების სირთულე, თქვა საქართველოს კომპარტიის თელავ

МУЗЫКАЛЬНОЕ ИСКУССТВО ГРУЗИИ

МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ И СОЮЗ КОМПОЗИТОРОВ ГРУЗИИ

МОСКВА 20-26 XI 78

საქართველოს კაპელა ერთ-ერთი საუკეთესოა

მოსკოვში წარმატებით გრძელდება საქართველოს მუსიკალური ხელოვნების კვირეული.

ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა **საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელის კონცერტი** (ხსტკვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი — გ. მუნჯიშვილი).

კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულდა რ. ლაღიძის, ო. გორდელის, შ. დავიდოვის, ა. შავერზაშვილის, ა. მაჭავარიანის ნაწარმოებები. აგრეთვე ი. კეშეყმაძის საგუნდო ციკლი „ფშაური მოტივები“.

მეორე განყოფილებაში შესრულდა ა. ჩიმაკაძის, ნ. გუდიაშვილის, მ. ფარცხალაძის, შ. მშვეიძის ნაწარმოებები, ი. ბობოხიძის სამი საგუნდო მინიატიურა, კონცერტის დასასრულს მოისმინეს ი. კეშეყმაძის საგუნდო პარაფრაზები ციკლიდან „ძველი თბილისის სიმღერები“.

ეს იყო დაუვიწყარი საღამო. ხალხით სავსე დარბაზი აღტაცებით ეგებებოდა ყოველ ნომერს, განსაკუთრებული წარმატება ხვდა ახალგაზრდა კომპოზიტორის ი. კეშეყმაძის საგუნდო ნაწარმოებებს. მსმენელებმა ოვაცია გაუმართეს ქართველ მუსიკოსებს, ბევრი ნომერი გაიმეორებინეს.

ჩვენ ვთხოვეთ სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს პროფესორ ვ. სოკოლოვს გამოეთქვა თავისი აზრი. აი, რა გვითხრა მან.

ძალიან ძნელია რამდენიმე სიტყვით გამოვხატო ყველაფერი, რაც დღეს თქვენი კაპელას გამოსვლის შემდეგ მაქვს სათქმელი. შეგიძლიათ დაიჯეროთ, რომ ჩემთვის, ჭორმაისტერისათვის, ფიმელმაც მთელი ცხოვრება შევწირე საგუნდო სიმღერების ხელოვნებას და კარგად ვიცი, თუ რა არის საგუნდო ტექნიკა და ის ცალკეული მუსიკალური ნიუანსები, რომლებიც ეხოდენ აუცილებელია მაღალკვალიფიციური კოლექტივისათვის, მეტად სასიამოვნო აღმოჩენა იყო საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელის ახალი პროგრამის მოსმენა.

მე გამაოცა დიდმა ხელოვნებამ და შესრულების უნაზომ ოსტატობამ. კაპელა შესანიშნავად არის დაუფლებული თანამედროვე საგუნდო მუსიკის ყველა არსებულ ფორმას, მუსიკალური ბგერა მეტყველია და შთამბეჭდავი. დიდი გულისყურით არის დაცული ქართული სიმღერის მანერა, საგუნდო მუსიკის განუმეორებელი კოლორიტი.

ძალიან მომეწონა კაპელის მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი გ. მუნჯიშვილი. მან უხათუოდ დიდი მომავალი აქვს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ხაქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა ერთ-ერთი საუკეთესოა“.

რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ზაკაჯა კი გვითხრა:

— თქვენს მშვენიერ კოლექტივთან შეხვედრის დროს ნათლად ვგრძნობ, რომ მუსიკალურ ხელოვნებაში იშლება ახალი, დღემდე უცნობი ჰორიზონტები. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს ჰორიზონტები გვაახლოებს მუსიკის არსთან, მის დანიშნულებასთან და მხატვრული სახეების სწორ ალქმაში გვეხმარება. მე თვითონ ვიგრძენი ყოველივე ეს დღეს, კონცერტზე, რომელიც მუსიკის ნამდვილი ზეიმი იყო.

რამდენიმე სტატეა მინდა ვთქვა ი. კეშეყმაძის შესახებ. მისი საგუნდო პარტიტურების დახვეწილ ბგერათა ეფექტიანობა გვიხატავს მშობლიური კუთხის სილამაზეს და ადამიანური დამოკიდებულების სითბოს. ასეთ მუსიკას სიხარული და ოპტიმიზმი მოაქვს.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ლ. რ. ხვიჩია

1978 წლის 19 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტის წევრი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე **ლევან რაჟდენის ძე ხვიჩია.**

აჭარის პარტიულ ორგანიზაციას გამოაკლდა შესანიშნავი კომუნისტი, მუშაკი და მოქალაქე, რომელიც ოთხი ათეული წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა პარტიასა და ხალხს.

ლ. რ. ხვიჩია დაიბადა 1916 წლის 9 აპრილს ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეში გლეხის ოჯახში. მან 1935 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის უჩამბის შვიდწლიან სკოლაში მასწავლებლად. 1938 წლიდან, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ლ. ხვიჩია მუშაობდა ჯერ ქედის რაიონის დანდალოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორად, შემდეგ კი ქედის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად და პედაგოგიური კაბინეტის გამგედ.

დიდი სამამული ომის დაწყებისთანავე, 1941 წლის ივნისიდან, ლ. რ. ხვიჩია საბჭოთა არმიის რიგებშია და იბრძვის სხვადასხვა ფრონტზე. საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1945 წლიდან, მუშაობდა ქობულეთის რაიასაბჭოს აღმასკომის კულტსაგანმანათლებლო განყოფილების გამგედ.

1945-1950 წლებში ლ. რ. ხვიჩია სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს კომპარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტის სკოლებისა და მეცნიერების სექტორის გამგედ. 1951-1956 წლებში იგი იყო პარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე.

ბოლო 1956 წლიდან — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი.

1964 წლიდან ლ. რ. ხვიჩია კვლავ პარტიულ სამუშაოზეა: მას ირჩევენ პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველ მდივნად, ჩაქვის საწარმოო ხამმართველ ლ ოს პარტიული კომიტეტის მდივნად. 1963 წელს იგი გადამყავთ პარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ, 1975 წლის დეკემბრიდან კი საქართველოს კომპარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარეა.

ლ. რ. ხვიჩია იყო ხაქმის მცოდნე, ავტორიტეტული მუშაკი, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, თავმდაბალი, გულისხმიერი, პარტიული პრინციპების, პარტიის ხაქმის ერთგული ადამიანი.

ლ. რ. ხვიჩია სხვადასხვა დროს არჩეული იყო ხაქართველოს კომპარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად, პარტიის აჭარის ხაოლქო და ბათუმის ხაქალაქო კომიტეტების წევრად, ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს მეექვსე და აჭარის ასსრ უმაღლესი ხაბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატად, ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი ხაბჭოს თავმჯდომარედ. იყო ხაქართველოს კომპარტიის XXI, XXII, XXIII და XXIV ყრილობების დელეგატი.

კომუნისტურმა პარტიამ და ხაბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ლ. რ. ხვიჩიას ღვაწლი და დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“, „ხაპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით, ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის ხაპატიო სიგელებით.

ლ. რ. ხვიჩიას ცხოვრება მშობლიური პარტიისადმი, ხამშობლოსა და ხალხისადმი კომუნისტისა და მოქალაქის უანგარო ხამსახურის კარგი მაგალითია. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებისა და კოლეგების გულში.

ბ. ვ. კოლბინი, ვ. რ. პაპუნიძე, ი. ბ. უნგიაძე, დ. დ. დიასამიძე, შ. ვ. უარყარაშვილი, ნ. ა. გუგუნავა, ა. ა. კაპარაკა, დ. ვ. მანჯგალაძე, შ. რ. მეხსიძე, ბ. ე. ჩიგოგიძე, ბ. ბ. ჩუბინიძე, ბ. ი. ცინცაძე, ბ. ვ. მახარაძე, ჯ. ა. ნაკაშიძე, ძ. შ. შატლაძე, ბ. შ. ჭყონია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო

გვინეის დემოკრატიული პარტიის ყრილობა

კონაკრი, 22 ნოემბერი. (საკადესი). აქ მიმდინარე გვინეის დემოკრატიული პარტიის მე-11 ყრილობამ დაადასტურა დამოუკიდებელ აფრიკულ სახელმწიფოთა მტკიცე გადაწყვეტილება საკადრისი პასუხი გასცენ იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკებს, რომელთა შეზანია ძირი გამოუთხარონ აფრიკელ ხალხთა ერთიანობას.

ყრილობის დელეგატებმა გვინეის დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივნისა და ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე ხელახლა აირჩიეს ამქედ ხეკუ ტურე.

ყრილობის გადაწყვეტილებით გვინეის რესპუბლიკას დაერქვა გვინეის სახალხო-რევოლუციური რესპუბლიკა.

დისკრიმინაცია უცხოა ვაჭროგისათვის

ვაშინგტონი. 21 ნოემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ცდები უკარნახოს ხაბჭოთა კავშირს პოლიტიკური პირობები ვაჭრობის დარგში და ორმხრივი თანამშრომლობა გამოიყენონ ამ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევისათვის მზარდ უკმაყოფილებას იწვევს შეერთებულ შტატებში.

თეთრი სახლის „მკაცრ გეზს“, რომლის მიზანია სსრ კავშირთან ვაჭრობის შეზღუდვა, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, მკაცრად აკრიტიკებენ ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეები. ამერიკის უდიდესი კორპორაციების წარმომადგენელნი, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირთან საქმიანი კონტაქტების განვითარებას, გადაჭრით ილაშქრებენ იმ მოსაზრიგების წინააღმდეგ, რომ ვაჭრობა „მოშინტის პოლიტიკურ მოსაზრებებს“ დაუქვემდებარონ.

უსამართლო განაჩენი

ლონდონი, 21 ნოემბერი. (საკადესი). თემთა პალატაში საგანგებო კამათის მოწყობა მოითხოვა ლეიბორისტმა პარლამენტარმა კ. პრაისმა იმასთან დაკავშირებით, რომ ამას წინათ დამთავრდა პროცესი ლონდონელი ჟურნალისტების კ. ობრის, დ. კემპბელის, აგრეთვე ყოფილი სამხედრო მოსამსახურის ჯ. ბერის საქმის გამო.

კემპბელს, ობრისა და ბერის არაერთხელ უმხილებიათ იმპერიალისტთა დაზვერვებისა და სპეცსამსახურების დანაშაულებრივი მაქინაციები, კერძოდ, დიდ ბრიტანეთში ფართოდ გავრცელებული ტელეფონით საუბრის მიყურადებისა და „სხვაგვარად მოაზროვნეებისადმი“ თვალთვალის პრაქტიკა. კემპბელი, ობრი და ბერი დამნაშავეებად ცნეს და დიდი ფულადი ჯარიმები დააკისრეს.

საზოგადოებრივი ტრიბუნალის მსჯავრი

ბაღდადი, 21 ნოემბერი. (საკადესი). აქ დამთავრდა საერთო არაბული სახალხო კონგრესის გადაწყვეტილებით შექმნილი ხაზოგადოებრივი ტრიბუნალის სხდომა. იგი შეიქმნა ისრაელთან სეპარატული გარიგებისათვის ეგვიპტის პრეზიდენტ სადათის კაპიტულანტური კურსის განსახილველად. როგორც ინის საგენტო იუწყება, ტრიბუნალმა სადათს ბრალად დასდო „ეგვიპტელი ხალხისა და არაბი ერის ღალატი“ და დაადგინა, ჩამოერთვას მას „არაბ ერისადმი კუთვნილება“.

ჩილეს კომპარტიის განცხადება

მეხიკო, 22 ნოემბერი. (საკადესი. არალეგალურად მოქმედმა ჩილეს კომუნისტურმა პარტიამ მთელ პატრიოტულ და ანტიფაშისტურ ძალებს მოუწოდა განამტკიცონ ერთიანობა პინოჩეტის დანაშაულებრივი ხროვის წინააღმდეგ ბრძოლაში. სანტიაგოში გავრცელებულ განცხადებაში კომუნისტური პარტია აღნიშნავს, თუ რა სწრაფად იზრდება ხუნტის იზოლაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. პინოჩეტი, ნათქვამია განცხადებაში, ახლა იმ ამასწინანდელ მომხრეებსაც კარგავს, რომლებიც მის მტაცეცა დასაყრდენს შეადგენენ.

ჩილეს კომპარტია აღნიშნავს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სოლიდარობას ანტიფაშისტური ბრძოლის განმტკიცებისათვის და გმობს ჩინეთის ახლანდელ ხელმძღვანელობას, რომელიც ფაშისტური ხუნტის ერთგული მოკავშირეა.

ირანის ამბები

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკადესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან თეირანიდან, ირანის დედაქალაქსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში არ ცხრება მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. ჯარები მათი გარეკვისას იყენებენ ცრემლსადენ გაზს, ცეცხლსასროლ იარაღს, აპატიმრებენ ხალხს.

უკვე ორი კვირაა თეირანში არ გამოდის გაზეთები, რომელთა თანამშრომლები პროტესტს აცხადებენ სამხედრო მთავრობის მიერ პრესის ცენზურის შემოღების გამო. ეს ორი დღეა დარღვეულია თეირანის ნორმალური სატელეფონო და სატელექსო კავშირი გარე სამყაროსთან. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო ამას იმით ხსნის, რომ გაფიცული არიან ირანის დედაქალაქის მახლობლად მდებარე კოსმოსური კავშირის სარეტრანსლაციო სადგურის მოსამსახურეები.

დღეს თეირანის მთელ რიგ რაიონებში გამოირთო ელექტროენერგიის მიწოდება. ელექტროსადგურების მუშებმა, რომლებიც სამხედრო წესების გაუქმებას მოითხოვენ, გაფიცეა გამოაცხადეს. ენერგომომარაგების სრული შეწყვეტის შიშით, ქალაქის მცხოვრებნი სათბობსა და წყალს იმარაგებენ.

პრემიერ-მინისტრმა გენერალმა აზხარიმ განკარგულება გასცა, რომ პროვინციის ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოში შეიქმნას სპეციალური კომიტეტები „უშიშროებისა და წესრიგის“ უზრუნველყოფის საკითხებზე. მათს შემადგენლობაში შევლენ გარნიზონების, პოლიციის, ეანდარმერიის უფროსები, სამოქალაქო აღმინისტრაციის წარმომადგენლები.

ამერიკის პრესა კვლავ განიხილავს საკითხს ირანის ამბების განვითარებაში შეერთებული შტატების ჩარევის შესაძლებლობის შესახებ. ყოველკვირეულ „ტაიმი“ ამასთან დაკავშირებით იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან სასწრაფოდ გზავნიან „ცრემლსადენი გაზის გრანატებს, სხვა შეიარაღებასა და აღჭურვილობას, რასაც ირანის არმია დემონსტრანტების წინააღმდეგ იყენებს“. ემბენ ნიარ-ნიარ საბაბს უშუალო სამხედრო ჩარევის გასამართლებლად. „ახლა, — აღნიშნავს იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი, — ლაპარაკია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები შეიძლება ირანში მცხოვრები ათასობით ამერიკელის გასახიზნად დასჭირდეთო“. საგენტო წერს აგრეთვე იმ გეგმებზე, რომ ირანში აპირებენ ამერიკის არმიის ექსპერტების გაგზავნას, რომლებიც ირანის პოლიციას შეასწავლიან აჯანყებათა ჩახშობის მეთოდებს. კანადური ჟურნალი „მაკლინზი“ ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ ირანის უშიშროების სამსახური — სავაკი თავის დროზე ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით შეიქმნა. სავაკის ბევრმა ოფიცერმა სპეციალური მომზადება გაიარა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჟურნალის მონაცემებით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ვირჯინიის შტატის სკოლაში ახლაც სწავლობს სავაკის 175 აგენტი.

თეირანში ვიზიტად ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრი მ. ბლუმენტალი. ამერიკის საელჩოს წარმომადგენლის თქმით, იუწყება „ნიუ-იორკ ტაიმსი“, იგი შაჰს გადასცემს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის წერილს, რომლის შინაარსსაც საიდუმლოდ ინახავენ.

ლონდონი, 22 ნოემბერი (საკადესი). გაზეთმა „ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ირანის სამხედრო მთავრობის მეთაურის გენერალ აზხარისათვის ჩამორთმეული ინტერვიუ. პრემიერ-მინისტრმა, ამტკიცებს გაზეთი, განაცხადა: „ახლა შაჰი კი არა, მე ვაგებო პასუხს ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის“. მან აგრეთვე საკმაოდ გასაგებად თქვა, რომ მთავრობის განზრახული აქვს კვლავაც გამოიყენოს ძალა რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების ჩახშობაზე.

ირანის დედაქალაქში კვლავ გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები და დემონსტრაციები. დემონსტრაციის მონაწილეთა გახარეკად პოლიციელები და ჯარისკაცები იარაღს ხმარობენ. არიან მოკლულები და დაჭრილები.

სურათზე: თეირანში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლისას.

ფოტო-საკადესის ტელეფოტო.

მაია ჩიბურდანიძე: ჩემი პირველი ოლიმპიადა

გუშინ თბილისში დაბრუნდა მსოფლიოს ჩემპიონი, ბუენოს-აირესის ოლიმპიადის -ოქროს მედლის მფლობელი, დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე. აი, რა განუცხადა მან ჩვენს კორესპონდენტს ბ. ბაბრიკელს.

— თვითმფრინავის მარშრუტი მოსკოვი - რომი-რიო-დე - ჟანეირო - ბუენოს-აირესი შეიძლება ხანგრძლივი და მომქანცველი, მაგრამ ბევრ საინტერესოსთან არის დაკავშირებული. კარგად დავათვალიერეთ რომის ღირსშესანიშნაობანი; რიო-დე-ჟანეიროში ნაკლებ იღბლიანი ვიყავით, აეროპორტს არ გავცილებივართ. შემდეგ კი დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი ყოფნა ბუენოს-აირესში, ევროპის გვიანი შემოდგომა სასხვრეთ-ამერიკულ გვიანი გაზაფხულით შეიცვალა.

ჩვენს გუნდში ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა აღექსანდრიას ოლიმპიადებზე არაერთზის უთამაშიათ, მე და ელენე ახმილოვსკაია კი ასეთ შეჯიბრებაში პირველად გამოვდიოდით. ისე, რომ ჩვენ ორმაგი აკლიმატიზაცია მოგვეხდა. გუნდში მეგობრული სულისკვეთება იყო, ისე, რომ შევძელით ყველა პრობლემის დაძლევა. ბევრი მეგობარი შევიძინე. განსაკუთრებით დავუმეგობრდი ინდოელებს, რომელთა გუნდი შედგებოდა... სამი დისაგან. მათი გვარი ქადინგირი გახლავთ. უმცროსი და 15 წლისაა და პირველ დაფაზე თამაშობდა, მომდევნო 16 წლისა და მეორეზე გამოდიოდა, მესამე 17 წლისაა და მესამეზე თამაშობდა. ეს სიმპათიური ლები, რომლებიც სხვადასხვა დროს ინდოეთის ჩემპიონები ყოფილან, ჟურნალისტების და მაყურებლების საყოველთაო ინტერესს იწვევდნენ.

ნახევარფინალურ ჯგუფში მატჩს მატჩზე ვიგებდით და ითოდ მოვხვდით 8 უძლიერეს გუნდში. შემდეგ კი მძაფრი ბრძოლები გადავიხადეთ. ეს გასაგებიც არის. ახლა, თითქმის, ყველა გუნდში დაწინაურდნენ ახალგაზრდა, ნიჭიერი მოჭადრაკეები.

პირველ დღეს ვთამაშობდით გფრის გუნდთან. მე მოვიგე ლაკაბანთან, გაფრინდაშვილმა — ფიშდიკოთან, ალექსანდრია დამარცხდა ჰუნდთან. მეორე ტურში ბულგარელებთან მატჩში ყაიმზე შეკუთანხმდი დიდოსტატ ლემაჩკოს, ალექსანდრიამ დაამარცხა შიგოკა, ახმილოვსკაიამ — ასენოკა.

მესამე ტურში ანგარიშით 3:0 დავამარცხეთ პოლონელები. მე ვხვდებოდი ერენსკას, გაფრინდაშვილი — შმარინსკას, ახმილოვსკაია — ვიზეს.

მეოთხე ტურში — ჩვენი მეტოქეები იუგოსლავები იყვნენ. ყაიმზე შეკუთანხმდი მარკოვიჩს, გაფრინდაშვილმა ასეთივე შედეგით დაამთავრა პარტია მაჩკასთან, ალექსანდრიამ მოუგო პიხალიჩს.

მეხუთე ტურში სამივე შეხვედრა უნგრელებთან ყაიმით დასრულდა (ჩიბურდანიძე — ვერეცი, გაფრინდაშვილი — ივანკა, ალექსანდრია —მაკაი).

მეექვსე ტურში ესპანელებთან სამივე პარტია მოვიგეთ: მე — გარსიასთან, გაფრინდაშვილმა — ფერერთან, ახმილოვსკაიამ — გარსია-პედრონთან. ამის შემდეგ, შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე, ოლიმპიური ჩემპიონების წოდება მოვიპოვეთ.

ბოლო, მეშვიდე ტურში გაფრინდაშვილი ყაიმზე მეუთანხმდა მაიოსს, ალექსანდრია — ჯეკსონს, ახმილოვსკაიამ მოუგო კოლდუელს.

ამრიგად, ჩვენ ფინალში 16 ქულა მოვიპოვეთ. 11-11 ქულა მოაგროვეს უნგრელებმა, ესფრ-ის ნაკრებმა და იუგოსლავებმა, უნგრელებს ვერცხლის მედლები მიენიჭათ, ესფრ-ის მოჭადრაკეებს — ბრინჯაო, იუგოსლავები კი უმედლებოდ დარჩნენ.

საერთოდ, ჩვენი ინდივიდუალური შედეგები ასეთია: მე 11 პარტია ვითამაშე და მოვაგროვე 9 ქულა (7 მოგება და 4 ყაიმი), ნონა გაფრინდაშვილმა 11 პარტიიდან ასევე წაუგებლად მოაგროვა 9,5 ქულა, ნანა ალექსანდრიამ 10 თამაშიდან — 8 ქულა, ელენე ახმილოვსკაიამ 10 თამაშიდან 10 ქულა.

ძალიან გაგვაბარა დეპეშამ, რომელიც თბილისიდან გამოგვიგზავნეს სოფიელ ჭიაურელმა, რეგან ლაღიძემ, რისმაგ გორდეზიანმა, ვახტანგ გარსიევანიშვილმა და თეიმურაზ გოცაძემ.

საზეიმო დახურვისას ოქროს მედლებით დაგვაჯილდოვეს, ნონა გაფრინდაშვილი კი, ცხადია, ორგზის კმაყოფილია — იგი პირველი ქალია, ვისაც ფიდემ ვაჟი დიდოსტატის წოდება მიანიჭა.

მოსკოვში დაბრუნებისას მიმიღო ხაბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა, არმიის გენერალმა ნ. შჩოლოკოვმა. მან გადმომცა საპატიო სიგელი და საჩუქარი, მისურვა შემდგომი წარმატებები.

მაშ ასე, დასრულდა ჩემი პირველი ოლიმპიადა. წინ კი ახალი ტურნირებია. ზუსტად რომელ შეჯიბრებში მივიღებ მონაწილეობას, ჯერ ძნელი სათქმელია. შეიძლება ეს იყოს ვეიკ ან ზეიფ ტრადიციული ფესტივალი იანვრის მეორე ნახევარში. მაქეს მოწვევა იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციიდან ბელგრადის ტურნირში მონაწილეობის თაობაზე, დიდოსტატმა კუეფდენმა კი ლონპაინის (აშშ) დიდ და პოპულარულ ტურნირში მიმიწვია, რომელიც აპრილში იმართება. შემდეგ ვნახოთ...

რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ შევეხოთ ვაჟთა საჭადრაკო ოლიმპიადას. ხაბჭოთა ნაკრებს გასაგები მიზეზების გამო აკლდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი, მისი ამასწინანდელი თანამეშეკეები ბაგიოს მატჩში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი და დიდოსტატი ი. ბალაშოვი. ისინი რომ არგენტინაში ყოფილიყვნენ, ჩვენი გუნდი ყოველ მიზეზგარეშე ოქროს მედლებს მოიპოვებდა. დიდხანს გვეგონა, რომ ჩვენი მოჭადრაკე ვაჟები მაინც გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ეს შთაბეჭდილება, მცდარი აღმოჩნდა.

* * *

სურათზე: ოლიმპიადის საზეიმო დახურვა ბუენოს-აირესში. მაია ჩიბურდანიძე ოქროს მედლით დაჯილდოების დროს.

ჭიდაობა

მასპინძლობს ფალავანთა კლუბი

გუშინ თბილისის ფალავანთა კლუბში დაიწყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ცენტრალური საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობაში სსრ კავშირის ნაკრების წევრები არ მონაწილეობენ, მაგრამ მან მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია. აქ ძალებს ცდიან ისინი, ვინც ნაკრებში ვერ მოხვდა და ის პერსპექტიული ახალგაზრდებიც, რომელთათვის ამ ასპარეზობას შემდგომი დაოსტატებისა და გამოცდილების მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველ დინამოელთაგან სსრ კავშირის ნაკრებში გაწვეული არიან და ამ რამდენიმე დღეში მინსკში შეიკრიბებიან მ. სალაძე, თ. აფხაზავა, ვ. ბლაგიძე, რ. აბრამიშვილი და ე. მარაიძე.

შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენი რესპუბლიკის ფალავნებიდან გამარჯვებები მოიპოვეს თ. წინწალაშვილმა (74 კგ წონითი კატეგორია, ერთი შეხვედრა მოიგო წმინდად და ერთიც ქულებით), თ. ხარაიშვილმა (74 კგ., ორი წმინდა მოგება), ი. ჯუღელმა (62 კგ., ორი წმინდა მოგება). ტ. სხირტლაძემ (57 კგ) ერთი შეხვედრა წმინდად მოიგო, ხოლო ერთი წმინდად წააგო. ვ. ნინიძემ და ი. დოღუზაშვილმა (ორივე — 90 კგ) თითო შეხვედრა წააგეს (ორივემ წმინდად).

შეჯიბრება გრძელდება.

მშვილდოსნობა

ისრეგი მიზანში

ორჯონიკიძეში სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს ხელმძღვანელობის სპორტული კლუბების მშვილდოსნათა ხაკავშირო ასპარეზობაში დაწინაურდა თბილისის უნივერსიტეტის გუნდი.

ჭალთა პირადი შეჯიბრების მ — 1 ვარჯიშის შემდეგ ქეთევან ლოხანერიძეს 1336 ქულა აქვს. ასეთი შედეგი მსოფლიოში ჯერ არავის მოუპოვებია.

კალათბურთი

მზადების ნიშნით

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ღია ჩემპიონატი კალათბურთელ ვაჟთა შორის. ეს ტურნირი ეგრეთ წოდებული პრელუდია გახლავთ უმაღლესი ლიგის გუნდების მომავალი საკავშირო ჩემპიონატის წინ და ცხადია, დიდი შეჯიბრების მონაწილეებს ერთგვარი შესაძლებლობა ეძლევათ შეამოწმონ ძალები, უკეთ მოემზადონ დიდი ბატალიებისათვის, აღნიშნულ ასპარეზობაში მონაწილეობენ თბილისის, მოსკოვის და ჩელიაბინსკის დინამოელთა კოლექტივები, აგრეთვე მინსკის რტი, რიგის ვეფი და ტალინის „კალევი“.

გუშინ თბილისს „დინამო“ დამარცხდა „კალევთან“ 77:84, ჩელიაბინსკის „დინამო“ — რტისთან — 87:100, ვეფი — მოსკოვის „დინამოსთან“ — 110:114.

ლ ო ტ ო

ხაქართველოს სსრ მინისტრთა ხაბჭომ დანიშნა.

— ამხ. ა. ხ. გიორხელიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად პირველ მოადგილედ;

— ამხ. ა. ვ. ჯანჯღავა — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილედ;

— ამხ. თ. რ. ხოსიტაშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო — ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სსრ მინისტრთა ხაბჭოს ხაქმეთა მმართველი.

1964 წლიდან ლ. რ. ხვიჩია კვლავ პარტიულ სამუშაოზეა: მას ირჩევენ პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველ მდივნად, ჩაქვის საწარმოო ხამმართველ ლ ოს პარტიული კომიტეტის მდივნად. 1963 წელს იგი გადამყავთ პარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ, 1975 წლის დეკემბრიდან კი საქართველოს კომპარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარეა.

ლ. რ. ხვიჩია იყო ხაქმის მცოდნე, ავტორიტეტული მუშაკი, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, თავმდაბალი, გულისხმიერი, პარტიული პრინციპების, პარტიის ხაქმის ერთგული ადამიანი.

ლ. რ. ხვიჩია სხვადასხვა დროს არჩეული იყო ხაქართველოს კომპარტიის აჭარის ხაოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად, პარტიის აჭარის ხაოლქო და ბათუმის ხაქალაქო კომიტეტების წევრად, ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს მეექვსე და აჭარის ასსრ უმაღლესი ხაბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატად, ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი ხაბჭოს თავმჯდომარედ. იყო ხაქართველოს კომპარტიის XXI, XXII, XXIII და XXIV ყრილობების დელეგატი.

კომუნისტურმა პარტიამ და ხაბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ლ. რ. ხვიჩიას ღვაწლი და დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“, „ხაპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით, ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის ხაპატიო სიგელებით.

ლ. რ. ხვიჩიას ცხოვრება მშობლიური პარტიისადმი, ხამშობლოსა და ხალხისადმი კომუნისტისა და მოქალაქის უანგარო ხამსახურის კარგი მაგალითია. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებისა და კოლეგების გულში.

ბ. ვ. კოლბინი, ვ. რ. პაპუნიძე, ი. ბ. უნგიაძე, დ. დ. დიასამიძე, შ. ვ. უარყარაშვილი, ნ. ა. გუგუნავა, ა. ა. კაპარაკა, დ. ვ. მანჯგალაძე, შ. რ. მეხსიძე, ბ. ე. ჩიგოგიძე, ბ. ბ. ჩუბინიძე, ბ. ი. ცინცაძე, ბ. ვ. მახარაძე, ჯ. ა. ნაკაშიძე, ძ. შ. შატლაძე, ბ. შ. ჭყონია.

ა რ ო ნ ი კ ა

ხაქართველოს სსრ მინისტრთა ხაბჭომ დანიშნა.

— ამხ. ა. ხ. გიორხელიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად პირველ მოადგილედ;

— ამხ. ა. ვ. ჯანჯღავა — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილედ;

— ამხ. თ. რ. ხოსიტაშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო — ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სსრ მინისტრთა ხაბჭოს ხაქმეთა მმართველი.

ხაქართველოს სს